ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 2.03.2011 წელი

საჩივრის რეგისტრაციის №023/11.

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. გ. მიმართ,

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 2011 წლის 23 თებერვალს ეთიკის კომისიას მომართა მოქალაქე ქ. მ. და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით 2008 წლის 27 აპრილს მისი მეზობელი, ვ. ნ. შეიჭრა მის კუთვნილ ეზოში, სადაც საჩივრის ავტორის მამა და არასულწლოვანი შვილი იმყოფებოდნენ. ვ. ნ. "იგინებოდა და საჩხუბრად იწვევდა" საჩივრის ავტორს და მისი ოჯახის წევრებს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გამოვიდა მდგომარეობიდან და ვ. ნ. თავში ჯოხი ჩაარტყა, ამ უკანასკნელს კი კანი ოდნავ გაეკაწრა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით აღნიშულ ფაქტთან დაკავშირებით 2008 წლის 27 აპრილს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულებრივი ქმედებების არარსებობის გამო შეწყდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში ვ. ნ. წარადგინა სარჩელი და ითხოვდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას 55 000 ა.შ.შ. ამერიკული დოლარის სახით. აღნიშნულ საქმეზე, მოსარჩელის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ნ. გ., ხოლო მოპასუხე მხარეს წარმოადგენდნენ ქ. და გ. მ.ები.

1.5 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატი ნ. გ. არღვევდა ეთიკის კოდექსის ნორმებს. კერძოდ, ადვოკატმა მტკიცებულებები დაამყარა არარსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. საჩივრის ავტორი თვლის, რომ გ. მ. ადვოკატი ცილს სწამებდა.

1.6 სასამართლომ დააკმაყოფილა ვ. ნ. სასარჩელო მოთხოვნა და ქ. მ. დააკისრა ხარჯების ანაზღაურება 2059,76 ლარის ოდენობით.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2011 წლის 14 მარტის ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ნ. გ., გაეცნო ქ. მ. საჩივარს და განაცხადა, რომ ახსნა-განმარტებას წერილობით წარმოადგენდა.

2.2 2011 წლის 21 მარტს ადვოკატმა ნ. გ. წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, საჩივარი ეხება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის თაობაზეც სასამართლოს წარმოებაში არის სასარჩელო მოთხოვნა.

2.4 ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ არის ეთიკის კომისიის განხილვის საგანი. ადვოკატი თვლის, რომ ეთიკის კომისიამ არ უნდა იმსჯელოს – სასამართლო პროცესზე მოწმეების მიერ მიცემულ განმარტებებზე, ადვოკატის შეფასებაზე ექსპერტის მოქმედებების თაობაზე, კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლო პროცესზე ადვოკატის მიერ გაკეთებულ ობიექტურ განცხადებებსა და განმარტებებზე და ა. შ.

2.5 ადვოკატი მიიჩნევს, რომ "ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების" მე-9 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ქ. მ. საჩივრის განხილვაზე უარი უნდა ეთქვას, რადგან აღნიშნული საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ჰპოვა 2010 წლის 6 სექტემბრით დათარიღებული ვ. ნ. მიერ ხელმოწერილი სააპელაციო შესაგებელი, რომელშიც აპელანტ ქ. მ. მიმართ ნათქვამია შემდეგი: „ქ. მ. მორალს ხშირ-ხშირად უსვამს ხაზს და ავიწყდება, რომ ამორალურად იქცევა, მართალ ადამიანს შანტაჟს მიწყობს უდანაშაულოდ ბრალს მდებს და ამ დროს მორალურ ზიანზე ლაპარაკობს, მაშინ როდესაც შიშველ ძუძუს უღებს ყველას ქუჩაშიც და მკერდს აჩვენებს ნებისმიერ გამვლელს". სააპელაციო შესაგებელს ხელს აწერს ვ. ნ., ხოლო წარმომადგენლად მითითებულია ადვოკატი ნ. გ.

3.3 საპროცესო კოლეგიამ ჩათვალა, რომ თუ დადასტურდებოდა, რომ ზემოაღნიშნული ჩანაწერი კაგეთებული იყო ადვოკატ ნ. გ. მიერ, მაშინ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "გ" პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მესამე პუნქტის დარღვევას.

4. საჩივრის ავტორის პოზიცია განხილვის კოლეგიის სხდომაზე

4.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი ქ. მ. და მხარი დაუჭირა წარმოადგენილ საჩივარს.

4.2 ქ. მ. აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მიერ დადგენილ გარემოებებს. ადვოკატმა ნ. გ, მას მიაყენა შეურაცხყოფა, რის თაობაზეც სააპელაციო შესაგებელში არის მითითებული. ქ. მ. მიაჩნია, რომ სააპელაციო შესაგებელი შედგენილია ადვოკატ ნ. გ. და არა ვ. ნ. მიერ.

4.3 ქ. მ. მოითხოვა ადვოკატ ნ. გ. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

5. ადვოკატის პოზიცია განხილვის კოლეგიის სხდომაზე

5.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის სხდომაზე არ გამოცხადდა ადვოკატი ნ. გ., სხდომაზე გამოცხადნენ მისი წარმომადგენლები – ც. ა. და მ. კ.

5.2 მ. კ. უარყო სააპელაციო შესაგებელში მოყვანილი გამონათქვამის ადვოკატ ნ. გ. მიერ დაწერის ფაქტი, თუმცა მან ვერ განმარტა საკითხი იმის შესახებ თუ როგორი მონაწილეობა მიიღო ადვოკატმა ნ. გ. სააპელაციო შეასგებლის დაწერაში. მ. კ. განმარტებით სააპელაციო შესაგებელში მოყვანილი გამონათქვამი დაწერილ იქნა ვ. ნ.

მიერ. წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით სააპელაციო შესაგებელს ვ. ნ. აწერს ხელს და არა ნ. გ. შესაბამისად, მოხმობილი გარემოებები მისი მოსაზრებებია.

5.3 ნ. გ. წარმომადგენლის ც. ა. განცხადებით თუ ნ. გ. შეურაცხყოფა მიაყენა ქ. მ., აღნიშნული აუცილებლად დაფიქსირდებოდა სასამართლო პროცესზე. ამასთან, მოსამართლე ადვოკატს მითითებას მისცემდა ან დააჯარიმებდა, რასაც ადგილი არ ჰქონია.

6. მოწმე ვ. ნ. მიერ მიცემული ჩვენება

6.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე განხილვის კოლეგიის 2011 წლის 10 ივნისის სხდომაზე მოწმედ იქნა მოწვეული ვ. ნ.

6.2 ვ. ნ. განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ სააპელაციო შესაგებელი შეადგინა პირადად, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, შესაგებელში მოხმობილი ფაქტები და შეფასებები წარმოადგენს მის მოსაზრებებს.

7. ფაქტობრივი გარემოებები

7.1 უდავო ფაქტობრივი გარემოებები

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

7.1.1. ადვოკატი ნ. გ. იცავდა ვ. ნ. ინტერესებს სამოქალაქო-სამართლებრივ დავაში ქ. და გ. მ.ების წინააღმდეგ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ქ. მ. 2011 წლის 2 მარტის საჩივარი;
2. ადვოკატ ნ. გ. 2011 წლის 21 მარტის ახსნა-განმარტება;
3. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/54-2010;

7.2 სადავო ფაქტობრივი გარემოებები

7.2.1 მოცემულ საქმეში ერთადერთი სადავო გარემოებაა დადგენა იმისა, თუ ვის ეკუთვნის 2010 წლის 2010 წლის 6 სექტემბრით დათარიღებულ სააპელაციო შესაგებელში ნათქვამი შემდეგი წინადადება: „ქ. მ. მორალს ხშირ-ხშირად უსვამს ხაზს და ავიწყდება, რომ ამორალურად იქცევა, მართალ ადამიანს შანტაჟს მიწყობს

უდანაშაულოდ ბრალს მდებს და ამ დროს მორალურ ზიანზე ლაპარაკობს, მაშინ როდესაც შიშველ ძუძუს უღებს ყველას ქუჩაშიც და მკერდს აჩვენებს ნებისმიერ გამვლელს".

7.2.2 სააპელაციო შესაგებელს ხელს აწერს ვ. ნ., ხოლო წარმომადგენლად მითითებულია ადვოკატი ნ. გ.

7.2.3 სააპელაციო შესაგებლის ზემოაღნიშნულ გამონათქვამთან დაკავშირებით საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. გ. განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ. საჩივრის ავტორის განცხადებით სააპელაციო შესაგებელი შედგენილია ადვოკატ ნ. გ. მიერ, რადგან ვ. ნ. ასეთი საპროცესო დოკუმენტის შედგენას ვერ შეძლებდა. ადვოკატ ნ. გ. წარმომადგენლის განმარტებით კი სააპელაციო შესაგებლის ეს ნაწილი ვ. ნ. დაწერილია.

7.2.3 მოწმე ვ. ნ. ჩვენებით სააპელაციო შესაგებელი მთლიანად პირადად მან შეადგინა და ადვოკატს მის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია.

7.2.4 ეთიკის კომისია ადგენს, რომ სააპელაციო შესაგებელში ქ. მ. მიმართ ნათქვამი ზემოაღნიშნული შეურაცხმყოფელი წინადადება არ ეკუთვის ადვოკატ ნ. გ.

7.2.5 საჩივრის ავტორის პოზიცია ემყარება მხოლოდ ლოგიკურ ვარაუდს, რომ სააპელაციო შესაგებელი ადვოკატის მიერ არის შედგენილი. ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ, ერთის მხრივ, ადვოკატი უარყოფს შეურაცხმყოფელი ფრაზის მის მიერ დაწერას, ხოლო მეორეს მხრივ, მოწმე აცხადებს, რომ მან პირადად დაწერა მთელი შესაგებელი და მათ შორის, ზემოხსენებული წინადადებაც.

7.2.6 ამრიგად, სააპელაციო შესაგებელში ქ. მ. მიმართ ნათქვამი შეურაცხმყოფელი წინადადების ადვოკატ ნ. გ. მიერ შედგენა მტკიცებულებებით არ დასტურდება და თუნდაც გონივრული ვარაუდი იმის შესახებ, რომ სააპელაციო შესაგებელი და მათ შორის, სადავო ფრაზაც, ადვოკატის დაწერილია, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საწინააღმდეგო დასკვნას.

II ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

8. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თვლის რომ ადვოკატ ნ. გ. მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

9. სამართლებრივი შეფასება

9.1 სადავო გამოთქმის ადვოკატისადმი კუთვნილების დაუდგენლობის გამო არ დასტურდება ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის

სტანდარტების დარღვევა, შესაბამისად არ არსებობს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. გ., სიითი # /1946/, დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი - არჩილ კბილაშვილი

კოლეგიის წევრი - გიგა კვერენჩხილაძე